საქართველოს მთავრობის

დადგენილება №365

2018 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგარამული კოდი: 31.06.03).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა) ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ პროდუქციის წარმოების პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.

2. პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული სურსათის უვნებლობის/მიკვლევადობის უზრუნველყოფა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა.

3. პროგრამის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და წარმოებული პროდუქტის პოპულარიზებაში ფინანსური მხარდაჭერა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (შემდგომში – კოოპერატივი)** – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) **პოტენციური ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) **ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულება;

დ) **დონორი** – ორგანიზაცია, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში დაფარავს პროგრამის კომპონენტების ფარგლებში შესასყიდი მომსახურებისა და აღჭურვილობის ღირებულების ნაწილს;

ე) **ხელშეკრულება** – ბენეფიციარს, ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და დონორს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც პროგრამის ფარგლებში განსაზღვრავს მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ვ) **საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP – Hazard Analysis and Critical Control Points)** – სისტემა, რომელიც ემსახურება სურსათით გამოწვეული საფრთხეების დადგენასა და მათ პრევენციას;

ზ) **ბრენდირება** – ამ პროგრამის მიზნებისთვის ბრენდირება მოიცავს ბენეფიციარის მიერ წარმოებული პროდუქციისთვის განკუთვნილი შეფუთვის დიზაინის, სასაქონლო ნიშნის, ლოგოს დიზაინისა და სხვა მარკეტინგული მასალების შექმნას;

თ) **აღჭურვილობა** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქტის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო მანქანა-დანადგარები (მათ შორის, ეტიკეტირების/დოზირების/დამჭრელი/ დამფასოებელი/თარიღატორი მანქანა-დანადგარები).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 3. პროგრამის კომპონენტები და თანადაფინანსება

1. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვას;

ბ) ბრენდირებას.

2. ბრენდირების კომპონენტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, კოოპერატივს ასევე შეუძლია, მოითხოვოს წარმოებული პროდუქტის ბრენდირებისათვის/საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენაში თანადაფინანსება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების არანაკლებ 10%-ს დაფარავს ბენეფიციარი, არაუმეტეს 90%-ს კი – სააგენტო ან/და დონორი, მაგრამ არაუმეტეს 13,500 ლარისა. დონორის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოსა და დონორის მიერ დასაფარი თანხის ოდენობა განისაზღვრება მათ შორის, არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აღჭურვილობის ღირებულების არანაკლებ 30%-ს დაფარავს ბენეფიციარი და არაუმეტეს 70%-ს კი – სააგენტო ან/და დონორი, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. დონორის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოსა და დონორის მიერ დასაფარი თანხის ოდენობა განისაზღვრება მათ შორის არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. (ამოღებულია - 21.10.2019, №498).

6. (ამოღებულია - 21.10.2019, №498).

7. (ამოღებულია - 21.10.2019, №498).

8. (ამოღებულია - 21.10.2019, №498).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 4. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 5. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი მოთხოვნები

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში,

პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;

ბ) საკუთრებაში აქვს რძის გადამამუშავებელი საწარმო;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს კოოპერატივის ან/და მისი მეპაიეების მიერ წარმოებული/მიწოდებული რძის გადამუშავებას;

დ) (ამოღებულია - 21.10.2019, №498);

ე) არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;

ბ) პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადის წარდგენის თარიღისთვის აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს და ახდენს მის რეალიზაციას;

გ) (ამოღებულია - 21.10.2019, №498);

დ) არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 7. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 8. თანადაფინანსების გაცემის პროცედურა

1. პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადი მიიღება ელექტრონული ფორმით.

2. განაცხადის მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 9. ბენეფიციარის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები

1. პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოდან ბიზნესოპერატორის უვადო აღიარება და შეინარჩუნოს თანადაფინანსების მიღებიდან 2 წლის განმავლობაში.

2. პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) თანადაფინანსების მიღებიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში აწარმოოს ბრენდირებული პროდუქცია;

ბ) დაადასტუროს პროგრამის ფარგლებში შესყიდული აღჭურვილობის წარმოებაში გამოყენება,

თანადაფინანსების მიღებიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.

მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. ბენეფიციარმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად უნდა წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამის საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასთან, მიზნობრიობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №498 – ვებგვერდი, 24.10.2019წ.